დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253584**
თარიღი:**24/12/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 24 დეკემბრის N108-1082535660 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) განსაზღვროს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 19 (ცხრამეტი) საშტატო ერთეულის ოდენობით ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საშტატო ერთეულის რიცხოვნობის დაცვით, იგივე ქვეპუნქტით წარმოდგენილ დანართში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს საშტატო ერთეულის პოზიციის დასახელება.

2. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 01 იანვრიდან.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის N2 08 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა	
N	**პოზიცია**
1	მერის თანაშემწე (დამხმარე მოსამსახურე)
2	სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
3	სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
4	მდივანი (დამხმარე მოსამსახურე)
5	მძღოლი (დამხმარე მოსამსახურე)
6	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი (დამხმარე მოსამსახურე)
7	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი (დამხმარე მოსამსახურე)
8	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი (დამხმარე მოსამსახურე)
9	სპეციალისტი გრაფიკოს-მემონტაჟე (დამხმარე მოსამსახურე)
10	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
11	სპეციალისტის პრესასთან, ტელევიზიებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო უწყებებთან, სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის, მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდისა და სოციალური ქსელების პიარის საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
12	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების სპეციალისტი ქონებისა და ბუღალტრულ პროგრამაში მუშაობის საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
13	სპეციალისტი საინფორმაციო მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
14	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდული განყოფილების სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
15	ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი მუნიციპალური სოციალური პროგრამების საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
16	მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტი ტურიზმის საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
17	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი შემოსული კორესპონდენციის, მონაცემების დამუშავებისა და სამსახურის მიერ მოსამზადებელი ანგარიშების პროექტების მომზადების საკითხებში (დამხმარე მოსამსახურე)
18	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი საარქივო მასალების დამუშავებისა და კანცელარიის საქმისწარმოების საკითხებში
19	მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის სპეციალისტი - ინსპექტორი დასუფთავებისა და შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის საკითხებში